



מִנוֹרָה

გამოცდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ეგრაჟი გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מִנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აკეცები არაერთი სახელის ახალი პრეზიდენტი



ისრაელის ქართველთა (პარლამენტი) დეპუ-
ტატი რეუვენ რივლინი ქვეყნის მომავალ
პრეზიდენტად აირჩია.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში
რივლინმა 63 ხმა მიიღო, მისი მთავარი მეტო-
ქე – პარტია „პა თნუას“ წევრი მეირ შიტრითი
კი 53 ხმით დაკამაყოფილდა.

რეუვენ რივლინი ისრაელის რიგით მეათე
პრეზიდენტია და ამ პოსტზე შიმონ პერესს
შეცვლის. რეუვენ რივლინი, რომელიც ად-
რეულ ნლებში ისრაელის ქნესეთის სპიკერი
გახლდათ, პრეზიდენტის მოვალეობის შეს-
რულებას ივლისში შეუდგება.

0360ს0
(ს0360)
№6 (392)
(5774)
2014

מִבְּרוּהַ
עִתּוֹן יְהוּדִי
בָּגְוָרְגִּיה

დიდი დანაკლისი



პარატა კალანდაპე — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში

საქართველოს პრე-
ზიდენტმა გიორგი
მარგალიშვილმა და
ჯერ კიდევ აპრილში
მოაწერა ხელი განკ-
არგულებას პაატა კა-
ლანდაძის ისრაელში
ელჩად დანიშნის თაო-
ბაზე და ხანგრძლივი
საუბარიც ჰქონდა მას-
თან. საუბარი შეეხო
იმ საკითხების გადაწ-
ყვეტის გზებს, რაც ასე
მნიშვნელოვანია ორი
ერთობ მეგობრული სახელმწიფოს — ისრაელისა და საქართველოს ურთ-
იერთობაში.

პაატა კალანდაძემ დიპლომატიური კარიერა სწორედ ისრაელში დაიწყო.
იგი გახლდათ იმ ჯგუფში, რომელიც ისრაელში საქართველოს პირველმა
ელჩმა რევაზ გაჩეჩილაძემ წაიყვანა (პაატა კალანდაძე), ლაშა უვანია, ვახ-
ტანგ ჯაოშვილი). ისრაელში და გახსნა საქართველოს საელჩო. შემდეგ
ყოველი მათგანი ელჩი გახდა. პაატა კალანდაძე წლების განმავლებაში ევ-
როპისა თუ აზიის ქვეყნებში ეწეოდა დიპლომატიურ სამსახურს. ასე, რომ
ისრაელში დიდი გამოცდილებით ჩადის.

ბ-ნი ელჩი 21 ივნისს მიერგავრება ისრაელში და შეუდგება მოვალეობის
აღსრულებას.



გაზეთ „მენორას“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ ის-
რაელში გარდაიცვალა ქართველ ებრაელთა სულიერი ლიდერი, **სახა**
მომა მიხელაშვილი. 70-იან წლებში იგი გახლდათ საქართველოდან ალი-
ის პირველი მერცხალი. თორის დიდი მცოდნე და კეთილშობილებით გამორ-
ჩეული. ისრაელის ქართველმა ებრაელობამ რაბი ლირსეულად გააცილა სა-
მარადებამ სამყოფელში.

უსაფრთხოება. რონალდ ლაუდერმა უურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა:
„ჩვენ არ გვსურს, ებრაელობის ახალი თაობა შიშით იზრდებოდეს. ამიტომ
საჭიროა გაძლიერდეს ევროპის უსაფრთხოების ძალები.“

ვიზიტის შეჯამებისას იულიუს მაინლმა თქვა:
— ებრაელობას არ ძალუს მხოლოდ თვითონ ებრძოლოს ანტისემიტიზმს.
ბელგიის ხელისუფლების მადლობელი ვარ. სახელმწიფო ორგანოები გა-
მოსთქვამენ მზადყოფნას ჩვენთან ერთად ებრძოლონ ისეთ საყოველთაო
ბოროტებას, როგორიც არის ტერორიზმი. ტერორიზმი ევროპის თავისუ-
ფლებასა და დემოკრატიას ემუქრება.



ბრიუსელის ტერაქტის შემდეგ

როგორც ცნობილია, ბრიუსელის ებრაულ მუზეუმში მომხდარმა ტერ-
ორისტულმა აქტმა სამი ისრაელელის სიცოცხლე შეინირა. ივნისის და-
სასწისში ბელგიის ებრაელობასთან სოლიდარობის ნიშანად, ბრიუსელში
ჩავიდა მსოფლიოს ებრაული კონგრესის დელეგაცია პრეზიდენტ როლანდ
ლაუდერის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში გახლდათ ევრა-
ზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლმ, გენერალური
მდივანი მიხეილ ჩლეონი და სხვ.

დელეგაცია შეხვდა ბელგიის პრემიერ მინისტრს ელიო დი რუპოს,
საგარეო საქმეთა მინისტრს დიდიერ რენდერსს, შინაგან საქმეთა მინისტრს
უოელ მილკეს, იუსტიციის მინისტრს ანერ ტურტელბოშს.

მექანის წარმომადგენლებმა მოითხოვეს თანამშრომლობის გაღრმავება
ევროპულ და მსოფლიო დანეზე, რათა გაძლიერდეს ევროპის ებრაელობის

ქადაგი საკუთრივის სამართლად – ლეიტ თეოდორევიტ

05623 ፳፻፲፱፻

ლეილა თეთრუაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 აგვისტოს ქ. ქუთაისში.

ნარჩინებით დაამთავრა, ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო ხელო, შემდგევ – ქუთაისის აღ. ნულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამინდელი აკ. ნერეთლის სახ. უნივერსიტეტი) უცხოენების ფაკულტეტის გერმანული განყოფილება, ხოლო 1969 ნელს – თბილისის იუ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა გერმანული ფილოლოგიის განხრით.

1973 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში, ჯერ უმცროს მეცნიერ-მუშაკად, 1980 წლიდან – უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1997 წლიდან – წამყანა მეცნიერ-მუშაკად.

1980 წელს დაიცვა საკანძოდატო დისერტაცია: „პანთეიზმის პრობლემა ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში“, ხოლო 1997 წელს – საღიერტო დისერტაცია: „ვაჟა ფშაველას და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობასთავის“.

იყო გოეთის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის ნევრი, სწავლული მდივანი გარდაიცვალა 2007 წლის მარტში (იხ. ვაზეთი „მენორა“, 2007, № 5-6.)



აი, ახლაც თვალწინი მიდგას ჩვენი მშობლიური თბილისის უნივერსიტეტის სილამაზის დელფინალი, რაღაც უმეტესობას განცდით აღვსილი თვალებით. უძირობის მწვავე გრძნობა, მფარველი ანგელოსი დასთამაშებს თთქოს მის ბედს... და აი, სად გაგას-სენდება უკვდავი გალაკტიონი: „ბედი, რომელიც მე არ მელირსა, ქარს მიჰყვებოდა როგორც ნამქერი“... თავ-განწირვა მეცნიერებისათვის, კერძოდ ფილოსოფიისადმი, უზადო, უანგარი ანგარიშსნორება საკუთარ სინდისტან, მკაცრი, შეუბრალებელი რეჟიმი და შრომის დისციპლინა. მაშინ იმ ავედით 1960-იან წლებში, როცა ჩვენი თემის ისტორიულ პორიზონტზე განუმეორებელი და გენიალური ბორის გაპონოვის ლანდი ნარმოჩინდა, ჩვენ — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის, კერძოდ სემიტოლოგიის ნარჩინებული სტუდენტი და ლეილა, — უცხო ენების, სახელდობრ გერმანული ენისა და ლიტერატურის ასპირანტი, და-ვუახლოვდით ერთმანეთს. ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, პირველი სართულის მარჯვნითი გრძელი დერეფნის დასასრულს გადაიქცა ჩვენი ინტელექტუალური პაემნების ადგილად. აქ კატალოგების უსასრულ მნიშვნელობა, დიდი, ვება ფანჯრების რაფებზე დაყრდნობილი თვალს უკისონებდით ერთმანეთს. ლეილა შეუდარებლად ლამაზი იყო იმ წლებში, რაღაც უცხაური ივრძნობოდა მასში, განა კი შემთხვევითი იყო ის გარემოება, რომ დედის მხრიდან აშენაზური სისხლი ტრიალებდა მასში, როსიანული და ისიც იყო მოსალოდნელი რომ ასეთი გენეტიკის კვალობაზე მას თავის პროფესიონალურ თემატიკად სწორედ გერმანული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ენის შესწავლა გადაეწყვიტა. თავიდანვე ნარმატებული იყო, ხშირად ვსაუბრობდით გერმანულად და ასეთ სფეროში იგი ჩემი უნებლივი მენტორი ხდებოდა. ხომ კი იგრძნობოდა ჩვენს შორის გარკვეული დისტანსი, — ასაკი? ეს თეტიკური მიზანნვდომები? — იყო მასში დაურკებელი სწრაფვა გადაელახა ყველა სახის ნინააღმდეგობა და ნამყვანი მკვლევართა წინა რიგებში გასულიყო. მიხეილ კესელავა, ოთარ ჯინორია და სხვები, მართლაც განსაზღვრავდნენ ქართული გერმანისტიკის ორიენტაციას და ლეილაც ჩქარა თავის ახლო კოლეგებთან ერთად ამ ფარვატერში მოექცა. მახსოვეს, ჩვენი სტუდენტი ებრაელების მჭიდრო წრე, იმავე ბიბლიოთეკის ფარგლებში რომ იყრიდა თავს: ჩვენი სასიქადულო ჯემალ აჯაიაშვილი, ისტორიკოსი ელდარ მამისთვალშვილი, რუბენ ენუქაშვილი და მისი დები. ეს შეხვედრები სპონტანურად იმართებოდა და სხვადასხვა თემებზე იყო საუბარი: ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, ენების ანალიზი, სტრუქტურულ-შედარებითი ტიპოლოგიები და რაღაც თქმა უნდა — ზოგადი ბიბლიოლოგია, ლეილას უყვარდა ბიბლიოური პასაუები და ეპიზოდები და რადგანაც ჩვენ პირადად უკვე მაშინ, თითქმის ზეპირად გვეხერხებოდა მთელი თორა — თანახი, ამდენად ლეილა ამ საკითხებში გარკვეულ ავტორიტეტად გვთვლიდა. მახსოვეს 1965 წლის შემოდგომა იქნებოდა, ერთ-ერთი შესვენების დროს, როცა დერეფანში ბოლთას ვცემდი, ანაზდეულად ლეილა მომიახლოვდა და მკითხარა აზრისა ვიყავი, თუ ბიბლიის შემსწავლელი წრე შეიქმნებოდა და მე უმაღვე დადებითად ვუპასუხე. მან პირველი ასეთი წრის სესიის თემად იობის ნიგნის შესწავლა დაასახელა იმ იმედით, რომ მომავალში ჩვენ ღრმად და საფუძვლიანად გავუკეთებდით ანალიზს საკუთრივ გამოცხადების ფენომენს, წინასწარმეტყველებსა და რიგ მომდებარე საკითხებს საერთო ფეხომეზნოლოგიურ პრიზმაში. ეს ის პერიოდია, როცა ჩვენ გვიტაცებდა და მუდმივ ვიყავით დაკავებული დაასავლეთ ევროპის ხალხთა პოეზიითა და ფილოსოფიით. სპორადულად ჩვენს მაგიდაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ნიცვე და კანტი, ბოდლერი და ვერლენი, ეზრა პატნედი და თომას ელიოტი, ვაგნერი და პეგელი, რემბრ და რაინერ მარია რილკე. ტომი ტომს ედებოდა, კონსპექტები ივსებოდა. საკვლევი პრობლემა-

ტკის არეალი ფართოვდებოდა დღითიდებები და ამ ემატებოდნენ ესპანელი, იტალიელი და ინგლისელ კლასიკოსები, იგივე გარსია ლორკა, ჯაკომო ლეო არდი, თანამედროვე ამერიკელი მწერლები და ა. ლეილასთან კამათი და საუბრები ჩემთვის პირადა მრავლისმთქმელი იყო: მისი მსჯელობის დიაპაზონაც სასწაულებრივის შთაბეჭყდილებას სტოკებდ ასეთი ღრმა ცოდნა და წვდომა შედარებითი ლიტერატურული მიმღებელი იყო: მისი მსჯელობის დიაპაზონას, ადრინილი დელი კონცეფციების ახლებურად ჩამოყალიბება და გაშუქება. ახალი პერსპექტივების დასახვა. მისი გამოცდილება ყოვლისმომცველი იყო, რაც ჩემი ვის პირადად ფილოსოფიური არსობრივი საზრისას სწორი გაცნობიერების საწინდარს მოასწავებდ წლები კი გარბოდნენ და ჩვენს უნივერსიტეტულ მრიდანებზე სტოკებდნენ თავის ნაკვალეებს. გაპიროვისეული ქუთაისი ჩვენს კავშირს მისტიკურ ელემენტს მატებდა. ლეილას მმობლები და ერთადერთი დამარინა ქუთაისში ცხოვრიბდნენ და საუბრებში ქუთაისური შტრიხები საცნაურნი ხდებოდნენ. ხშირად მიხდებოდა ამ ცისფერყანენებლთა საოცნებო ქლაქში ყოფნა, მის ბულვარებზე ბორიალი ჩემს დაუცველად გაპონოვთან ერთად. რაღაც ჯადოსნური წრე იკვრებოდა ჩვენს ირგვლივ ამ სანუკვარ ქალაქში რიონისპირეთი, ფოთოლ-შეყვითლებული და აშრა ალებული ხეების რიგები, მოკლეხმოვანი, გამომაფი იზლებული შეხაძუნა წვიმა და იგივე გალაკტიონის:

ქარი ჰერის, ქარი ჰერის, ქარი ჰერის,
ფოთლები მიჰერიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?..

და მეც თითქოს გონება-ალენილი
მოგოროზებული ბაგრატის ტაძრისაკენ
ბოდი და გავიძახოდი: — სადა ხარ, ბორის
ლეილა? სადა ხარ, ნანაუ? ნანი ბაბალი
ახალგაზრდა შემოგვეცალა, თუმც კი ჩვი
რი საღამო მან გამართა 1966 წელს ქუთა
გოგიურ ინსტიტუტში რომელზეც „სიმ
რემინესცენციებზე“ წავითხე. აქვე ცო
ნენ უკვდავი სახეები: პაოლო იაშვილი
გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო
ტერენტი გრანელი და ვანდა არ დაკ
მართლაც რომ იყო ჩვენი ქუთაისი პოეზია
ბოლოების ქალაქი, ალბათ, ამიტომაც
თი არ იყო, რომ ამ სტრიქონებს ვწერ ი
ქუთაისში გამომგზავრების წინა დღეს, სო
ფრაზებსაც ხომ გააჩნიათ თავისი ოკულ
კირთვა და განჩინებითი მიზანსწრავა!

ლეილა თეთრუაშვილი სამწანახნაგროვანმა ფილიოს
ფიურ-ლირიკულმა ძიებებმა გაიტაცეს: გერმანედ
სპინოზა, ქართველი — ვაჟა-ფშაველა და დაუ
რულებელი სერია სახებისა, იდეებისა, რაკურსებ
სა და იდეალებისა. გადაჭარბებული არ იქნება, თ
დავგენო, რომ ლეილა ესთოტიკული იდეალისტი იყ
თავის ბუნებით, თავის ქალურ-სინაზოთა და კლდ
მამოსილებით, გემოვნებითა და დახვეწილობით. კარგად ჩანს მისი მრავალრიცხოვანი ესსეებიდა
წერილებიდან, ნარკვევებიდან და მონღირაფიერებიდა
რომლებიც ათწლეულების განმავლობაში იძექდებ
და და ქვეყნდებოდა როგორც საქართველომი, ასევე
გერმანიაში. იგი ხომ ხსენებული ქვეყნის გოთ
საზოგადოების ღირსეული წევრი იყო, და ხშირადა
იღებდა მონაწილეობას იქ გამართულ საერთაშორი
სო კონფერენციებზე და მისი გამოსვლები, ლექცი
ბი საყოველთაო მონონებას იმსახურებდნენ. ლეილ
როგორც გამოჩენილი პედაგოგი, რამდენი ახალგა
რდული თაობა გამოზარდა მან, ფეხზე დააყენა, ს
სურველი საწადელისკენ უბიძგა რჩევითა და მართე
ული დიდაგტიკური კარნახით. ახლაც ჩამესმის ყურა
მისი გამართული, კადენცირებული მენტორული ხე
წინადადებების წყობის გაბმული რითმიკა თავის
განუმეორებელი პაზუზებით, აქცივნტრუაციით. ის,

სიტყვების პირდაპირი მინიშნებით, ამის საუცხოო სპეციალისტი იყო. ყოველ ჩვენგანს შეუძლია შექმნას თავის საკუთარი ლეილას სახე, ინდივიდუალური, შესაძლოა გარკვეული კონტროვერსიებითაც კი, მაგრამ ძირული დვრიტა ამ დიდებული პიროვნებისა იგივე რჩება, ოდნავ რომანტიზებული, სილრმისეულად განცდითი, საგრძნობოლად ტრაგიკულით. მან უკომპრომისოდ შესწირა თავი ალებულ მეცნიერულ კურსს, განა კი არ შეეძლო შეექმნა ბედნიერი ოჯახი, ჰყოლოდა ერთგული შეიღები, ოდნავ უფრო გაეხილა თვალი და გაეხარა?! მაგრამ მან სხვა გზა არჩია, ის-ევე როგორც მისი ნაწერების წამყვანმა პერსონაუმა ბენედიქტ ბარუს სპინოზამ — მორ ეი ინტელექტუალის, — ღვთაების ინტელექტუალური სიყვარული გათანასწორებული იმავ გამოცხადების {Revelatio} ფენომენთან. ლეილამ შესძლო ამ რთული ფილოსოფიური დღის წესრიგის გაცნობიერება და მოაზრება და მათი განხილვა მისი მინიერი საზრდოობის საგანიც და წყაროც გახდა. ჩვენებული ურთიერთობების ქართული პერიოდი 1972 წელს დასასრულს დაუახლოვდა, როცა ჩვენ სსრკ-ი დავტოვეთ, ვფიქრობდით მუდმივად, მაგრამ წინ დიდი სიურპრიზი გველოდა — კომუნისტური საბჭოების დაცემა სულ რაღაც ოციონდე წლის შემდეგ და ჩვენი განახლებული შეხვედრები, მოყოლებული 1990 წლიდან, როგორც ისრაელში, ასევე საქართველოში. მისი ლამაზად მოწყობილი ბინა ჭონქაძის ქუჩაზე, შესანიშნავად დამზადებული კერძები, ქართველ მეცნიერთა სახეები, საუბრები, პოლემიკა, ფიქრები მომავალზე. მაშინ ისრაელის მთავრობის შემადგენლობაში ვირიცხებოდით, და ამდენად ჩვენებული ვიზიტები საქართველოსა თუ ყოფილი სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში, რამდენადმე ფორმალურსა და ნახევრად ოფიციალურსა და ნახევრად ოფიციალური სტუმრობის შთაბეჭდილებას სტოკვებდა. ამავე პერიოდს უკავშირდება ჩვენი პირველი შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტ, ხალასი პატრიოტული მრნამისისა და ინტელექტის ზოიად გამსახურდისათან, რაც სამწევაროდ, მოგვიანებით საქართველოს ფარგლებს გარეთ გაგრძელდა 1993 წელს. ეს თემა შესაძლოა, თუ გარემოებებმა შეუწყვეს ამას ხელი, შემდგომ, მემუარებისა და ესახების საგანი გახდეს. დრო ყოველივეს კურნავს! აქედან გამომდინარე ჩვენი საქართველოში ყოფინის პერიოდში, მიუხედავად მისი ხანმოკლებიანობისა, ლეილას განსაკუთრებული დრო ჰქონდა დათმობილი. ეს ხშირად ხდებოდა გამართული კონფერენციების ფარგლებში, ან თუნდაც ჩვენი მოხსენება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის — რომლის წევრიც გავხდი — პლენარულ სხდომაზე ქართულ პალესტინიანასთან მიმართებაში. გამოჩენილი ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების მთელი კოპორტა: მაშინდელი პრეზიდენტი ალექსანდრე თავხელიძე, ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე და სხვები. იქვე იყო ლეილაც, ოდნავ მოშორებით ვგრძნობდა: მასში ისამაყენ ინვევდა იმ საღამოს მოპოვებული წარმატება ქართული სიძველების გაშუქებით გამოწვეული ისტორიულ პალესტინაში, ანუ მარადიულ ერეც-ისრაელში. მოგვიანებით ჩვენს სასტუმრო ნომერში შევიკრიბეთ. აქვე იყო ჩვენი ხელმძღვანელი და მასნავლებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან პროფ. ილია ტაბაღლაშვილი. იქ ხომ 1969-1972 წელს ვმსახურობდით უცხო ენათა განყოფილების გამგედ და პარალელურად საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების შემდეგ ვამზადებდით სადილოების თემის „ისტორიის ფილოსოფია ევროპის“. იქ ხომ 1969-1972 წელს ვმსახურობდით უცხო ენათა განყოფილების გამგედ და პარალელურად საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების შემდეგ ვამზადებდით სადილოების თემის „ისტორიის ფილოსოფია ევროპის“.

დაუკინებარი დარჩება ის თბილისური საღამოები 1990-1993 წლებში, ნოსტალგიის ელფერი ედებათ მათ, სწორედ ახლა, როგორ ლილა აღარაა ჩვენთან,

დასასრული მომზევნო გვერდზე ►►►

ქემი მიზანია შეგქმნა საქართველოს ებრაელობის დიიტერატურული მატიანე. მინდა დიდებულ ქართულ პროზას კიდევ ერთი ფერი შევმატო, რაოდენ სახიერი, მოკაშკაშეა ეს ფერი, თქვენი – მკითხველის, კრიტიკის განსასჯელია.

მეოთხე ტომში შესულია ჩემი ეს-სების ციკლი „სახეები და სიტუაციები“, ამ წიგნს 80-იანი წლებიდან ვწერ. აქვე პოლემიკური სასიათოს წერილები, ეს არის შეკამათება სხვადასხვა წლებში სხვადასხვა აფტორთა პუბლიკაციებზე, რომლებიც სხვადასხვა ღროს გამოჩნდა ამა თუ იმ გაზეთში.

— როცა ამ აბურღულ, დაუსტაგებელ ყოფაში ადამიანი კარგავს თავის ადგილს საზოგადოებაში, რჩება უფრუნტიო, ნგრევის პროცესში არავის სჭირდება იგი და აღმოაჩენს მეათე კაცის ფუნქციასა და მნიშვნელობას ებრაულ შემეცნებაში, ეს მას ანიჭებს ძალას, დინამიზმს. ეს ძალიან ქეთილშობილური იდეა. თქვენი თაობის მწერლებისათვის პოსტმოდერნიზმი არ არის დამახასიათებელი, ქრონულ ლიტერატურულ რეალობაში ეს უფრო გვიანდელი მოვლენაა, მაგრამ თქვენს ამ რომანში თანამედროვე ხელოვნების, ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენციაც გამოიხატა და შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საზოგადოება სწორ გზას ადგას. „ჟამი დუმილისა და ჟამი უბინბისა“ სოლომონ ბრძენის — შეღონებათა წიგნიდან. სამწუხაროდ, რომანი „ერთი, მხოლოდ ერთი! „ჯერ არ წამიკითხავს, ამდენად ვერაფერს ვიტვი. ახლა კი ნება მომეცით, წაგიკითხოთ, ბათიაშვილის რომნოან „მეათე კაცი“ დაკავშირებით, თუ რას წერს მსოფლიოში გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, თეოლოგი ადინ შეგანალცი: „გურამ ბათიაშვილის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გვაჩვენებს, რომ იგი ტალანტით დაჯილდოებული მწერალია. ახალი რომანი „მეათე კაცი“ გურამ ბათიაშვილის კიდევ ერთი მიღწევადა და საგულისხმო მის სხვა მიღწევებთან ერთად. პრობლემა, რომელსაც იგი რომანში სვამს, გადმოგვცემს ერთი მხრივ, საქართველოს ებრაელობის ხასიათს — ადამიანურს და კულტურულს, და მეორე მხრივ, ჩვენი დროის ყოველი ადამიანის ჭმუნვას, ტკივილს, ბრძოლას.

მნიშვნელოვანია იყო მეათე კაცი, რადგან სწორედ ის ქმნის შინიანს — მლოცველთა ქვორუმს, უამისოდ ადამიანები არიან განცალევებულდანაწევრებულნი, ერთმანეთთან დაუკავშირებელნი. ამ გაგებით გურამითავად არის მეათე კაცი, რომელიც დაცალევებულ ებრაელებს ებრაულ საზოგადოებად გადააქციას.

ო ღირებულებას განვითარება.
ოოგორც მეგობარი და კოლეგა,

„ფილოსოფიური ეპიზოდები, რო
მელიც აბესალომს (რომანის მთა-
ვარი პერსონაჟი. ოჯა) ეხება, განსა-
კუთრებით საინტერესოა ისტორიულ
ასპექტში იმით, რომ ისინი ბევრი
ებრაელისათვის ამსხვრევენ ებრაელ-
თა ისტორიაში მძიმე პერიოდის
სარგებლს, რომელთა წინაშე თუ-
შესაძლო მასტიმულირებელი ძალა
წამომართულა: კომუნიზმის მიერ
ზეაწეული უნივერსალური სოციალ-
ისტორ-მარქსისტული იდეალი (ლევ
ტროცკის მიხედვით თუ ვიტვით, სტა-
ლინური ვერსია სხვა არაფერი იყო,
თუ არა სოციალისტურ-საკარნაგალო
სამოსელში გახვეული რუსული ნა-
ციონალურ-შოვინისტური ვერსია) და
სიონისტური, ან რელიგიური იუდა-
იზმი, რომელიც გვთავაზობდა „პატა-
რა“ ეროვნულ გამოსახალს — უარი
არ გვეთქვა ბურუუზაზიულ, დიდ პუმა-
ნურ პრობლემაზე“.

აკადემიკოსება მიხეილ როკე-
ტლიშვილმა გაისხენა მისივე ადრინ-
დელი პუბლიკაციები გურაბ ბათიაშ-
ვილის შემოქმედებასა და საზოგადო
მოღვაწეობაზე, ხაზი გაუსვა იმას,
რომ მწერალი ყოველთვის ერთგული
გახდეთ თავისი ქვეენისა, წარმო-
აჩენდა ქართველი ხალხის ტოლერ-
ანტობის, ქართული-ებრაული ურთ-
იერობის შესანიშნავ ფურცლებს.
იცავდა და პელაგიაც იცავს ქართვე-
ლი ებრაელობის ლირსებას. ეს კი მის
მოღვაწეობას ერთობ საინტერესო



თის რწმენა, რომელზეც პატრიარქი დაბარაკობს? ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო, ქართველი ხალხი ციფილიზაციის სრულიად ახალ საუკეთენზე ავიდა. მონოთეიზმი, ამ შემთხვევაში ქრისტიანული რწმენის სახით დამკვიდრდა საქართველოში და სათავე დაუდო გზას პროგრესისაკენ. „ერთი, მხოლოდ ერთი“ სტრუქტურულად ცოტბა რთული რომანია: რომანში არის ორი ხაზი: პირველი ეს გახდავთ ებრაელთა მოსკოვი საქართველოში, თანაცხოვრების, ისტორიული ურთიერთობის დაწყების პირველი ეტაპი და იმ მისის აღსრულება, რაზეც უძვევ გთხოვთ და მეორე ხაზი — ებრაელთა ბრძოლა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის. ეს ხაზი ვთთარდება 18 ქართველი ებრაელის წერილის სახით, რომელიც მათ 1969 წელს გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რომელსაც შიმონ პერესმა სიონიზმის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოათხანა ჰქონდა.

ვებლინვაია მოვლენა უწოდა.
მესამე ტოში შესულია რვა პიგ-
სა. ამათგან მხოლოდ ორია ებრაულ
თემაზე. დანარჩენი საქართველოს
ისტორიის ამა თუ იმ ეტაპს აცოცხ-
ლებს.. ძალიან მიზიდავს საქართ-
ველოს ისტორია. ღოკუმენტური დრა-
მის უანრი. ჩემი ყოველი ისტორიული
პიესა ღოკუმენტურია. საქართველოს
ისტორიის ყოველი მონაცემი, განსა-
კუთრებით მე-18-20 საუკუნეები, ძლი-
ერ დრამატულია.

— მივაძებიოთ ყურადღება მისი რომანების სათაურების: „თუ დაგივიწყო, იერუშალამიმ!“ მეფე დავითის 137-ე თეოლიმიდან, მეათე კაცის არსზე, მის ფუნქციაზე ებრაული ჯამაათის ყოფაში, უპე ითქვა — იგი ითიქმის ცენტრალური ფიგურაა საჯამაათო ცხოვრებისა, როცა ადამიანი იწყებს მეათე კაცის მრწამსით ცხოვრებას,

გუსურვებ მას გაეგრძელებინოს თავისი შემოქმედებითი გზა“.

ଫାରମନାହିଁବେ

საუბარში ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ რაბი აპრამ აშვილი, მიხეილ ფიზიცები, სოსო პატარგაციშვილი, სიმონ დავარაშვილის და სხვ.

დასასრულს გურამ ბათიაშვილმა მათობრა აკადემიურ აქადემიურ

စာရွှေ့လွှာဝ ဂုဏ်ပိုင်ချက်များ၊ အနောက် အသေးစိတ်
မြောက် ဖော်ဆိပ်များ၊ အမြတ်ဆုံး အမြတ်ဆုံး
မြတ်ဆုံး အမြတ်ဆုံး အမြတ်ဆုံး အမြတ်ဆုံး အမြတ်ဆုံး

საუკეთესო ხაწილია შექრებილი.
გაზეთ „დავითის
ვარე“ №227 2014 ფ. 03601-0

ეოსის უმაღლესი (უნავი) — 3.87 მილიონი დოლარი

შარიზში კრისტის სახლის მორიგი აუქციონი გაიმართა. აუქციონზე ჩატარდა ძვირფასი ნივთებით გაფრობა. გამოტანილი იქ მოსეს ხუთწიგნეული (ხუმაში). ეს გახდათ 1482 წელს ივრითზე ბოლონიაში დაბჭედილია ეგზემ-პლარი. ძისას ხუთი ხუმაში (ხუმაში) 3.87 მილიონ დოლარად გაიყიდა.

აუქციონის ბიულეტენში ნათქვამია, რომ მოხეს ეს ხეთწიგ ნეული ხემაშის ზირველი გამოცემაა. ბოლო ასი წლის განმავლობაში ამ წიგნის მხოლოდ ორი ნაწილი გახსნდათ გამორჩანილი აუქციონზე.

როგორც ებრაული ახალი ამბების სააგენტო იუწება, აუქციონზე წევ-წიგნეულის დაწებითი ფასი ორი მილიონი ღოლარი გახდათ, მაგრამ ორი სატელეფონო ზარით განხორციელებულმა შესყიდვის ოპერატორმა ფასი გაზარდა.

